საქართველო

34791-01-2-201509141656

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/34791
14/09/2015

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 3 სექტემბერს ხელი მოეწერა 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებების (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილებას.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ხსენებული სასესხო ხელშეკრულებების ცვლილება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის მიზნით, გიგზავნით ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ცვლილების ინგლისურენოვანი დედნისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, განმარტებით ბარათს, შესაბამისი უწყებების დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების ცვლილების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ბატონი - გიორგი კაკაურიძე და ბატონი - ლაშა ხუციშვილი.

დანართები:

- ხელშეკრულებების ცვლილებისა და მისი თარგმანის ასლი;
- უწყებების დასკვნები;
- განმარტებითი ბარათი;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი.

(ჯამი: 132 ფურცელი).

პატივისცემით,
გიგი გიგიაძე

მინისტრის მოადგილე

საქართველოს მთავრობის ადმ. №64073 15.09.2015 132 ფურცელი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge